სახალხო დღესასწაული „შემოქმედობა“



ალიონი. 20 სექტემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში სახალხო დღესასწაული „შემოქმედობა - 2015“ გაიმართა.

სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით შემოქმედის საჯარო სკოლას მეცნიერ აკაკი სურგულაძის სახელი მიენიჭა.

კულტურული ღონისძიებები შემოქმედის სკვერში 15 საათიდან გურიის ტურისტული პოტენციალის ამსახველი ფოტოგამოფენით დაიწყო. ასევე გაიმართა ადგილობრივი რეწვის ოსტატებისა და მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ანდრო ვაშალომიძის მიერ წარმოდგენილმა გურული ვაზის ჯიშების ღვინოების გამოფენა-დეგუსტაციამ. აქ წარმოდგენილი იყო „ალადასტურის,“ „საკმიელას,“ „კამურის“„ათინაურის“ და სხვა ჯიშის ყურძნის ღვინოები. აქ სტუმრად მყოფმა ახალციხელმა, ბორჯომელმა, ხაშურელმა და სხვა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებმა მაღალი შეფასება მისცენ გურულ ღვინოებს.

დასახელდნენ მუნიციპალიტეტის საპატიო მაცხოვრებლებიც.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ადმიანებს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საკუთარი სოფლისა

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №38 (10128), 28 სექტემბერი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ყურბან-ბაირამის დღესასწაული აღინიშნა

ალიონი. 24 სექტემბერს მუსლიმი მოსახლეობა „იიდ-ალ-ადჰას“, ანუ ყურბან-ბაირამს აღნიშნავს. გაზეთი „ალიონი“ დილით დაბა ნასაკირალის ჯამეში იმყოფებოდა და ბაირამობის დღესასწაულის რიტუალს დაესწრო.

ყურბან-ბაირამი ისლამის უდიდესი დღესასწაულია. ეს დღე სიმბოლოა სიყვარულის, ურთიერთშერიგების, თანადგომისა და ქველმოქმედების. ამ დღეს ყველა ზრდასრული და მატერიალურად შეძლებული მუსლიმი პირუტყვის სახით მსხვერპლს სწირავს ალლაჰს. სიტყვა ყურბანი მომდინარეობს არაბული სიტყვა „ყერებე“-საგან, რომელიც ნიშნავს დაახლოებას, ანუ ღმერთთან დაახლოებას. ყურბანი ნაწილდება სამ ნაწილად: ერთი ნაწილი ოჯახში რჩება, დარჩენილი ორი ნაწილი კი მეზობლებში, ახლო ნათესავებში და ღარიბებში ნაწილდება. მსხვერპლშეწირვის რიტუალი ტარდება მთვარის კალენდრით „ზილჰიჯჯას“ თვის მეათე დღეს. ამავე დღეს ტარდება „ჰაჯობის რიტუალი“, ანუ მოლოცვა მექაში, სადაც უამრავი მუსლიმი იკრიბება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალში 800-მდე მომლოცველი იმყოფებოდა ნასაკირალიდან, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების სოფლებიდან, ბათუმიდან.

ლოცვის დაწყებისას ნასაკირალის ჯამეს იმამმა შაქრო (მუხამედ) მეკეიძემ ჯუმაღეთს (მლოცველებს) მიმართა: – ღმერთმა გამთლიანებული საქართველო გვანახოს. სამშობლო გვიძლიეროს!

ლოცვის დასრულების

გვ-3

სოზარ სუბარი გურიაში

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ლანჩხუთსა და ოზურგეთში ის საცხოვრებელი სახლები დაათვალიერა, რომლებიც უსახლკარო მოქალაქეებს მისმა უწყებამ შეუძინა

„ალიონი“. გურიაში საქმიანი ვიზიტი სოზარ სუბარმა ლანჩხუთიდან დაიწყო. გურიის გუბერნატორის, ბატონ გია სალუქვაძის თანხლებით, ბატონმა სოზარ სუბარმა ქალაქ ლანჩხუთში, დუმბაძის ქუჩის №82-ში რევაზ მუშამბაძის, ხოლო მორჩილაძის ქუჩის №35-ში არჩილ ჩხაიძის საცხოვრებელი სახლები მოინახულა, რომლებიც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ცოტა ხნის წინათ ამ მოქალაქეებს შეუძინა.

ხსენებული სამინისტროს ოზურგეთში ჩამობრძანებულ დელეგაციას ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე შეუერთდა. სტუმრებმა და მასპინძლებმა, პირველ რიგში, დაათვალიერეს ქალბატონ მარინა ორმოცაძის საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ 20 ათასი ლარი გაიღო.

ქალბატონი მარინა ორმოცაძის თავგადასავალი მგონი მთელმა საქართველომ იცის. კარმიდამოს დამეწყვრისა და შვილის გარდაცვალების შემდეგ, 20 წელზე მეტია, რაც ეს ქალბატონი ავადმყოფ მეუღლესა და ოთხ შვილიშვილს მზრუნველობს. ამ ხნის განმავლობაში ჯანმრთელობა მასაც შეერყა ისე, რომ გულზე საოპერაციო შეიქნა. რთული ოპერაციის გადატანის მიუხედავად, ფარხმალი არ დაუყრია და საწადელს მიაღწია: შვილიშვილებიდან ორი უკვე სტუდენტია, ხოლო მას შემდეგ, რაც დაახლოებით ორი თვის წინათ დასახმარებლად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართა, უწყებამაც არ დაახანა და ოზურგეთში, ვაჟა ფშაველას ქუჩის №17-ში საცხოვრებელი სახლით უზრუნველყო რთული სოციალური პრობლემების მქონე ოჯახი.

„ცოდოს ვერ ვიტყვი, წინა ხელისუფლებაც მეხმარებოდა, სახლიც მიქირავეს რამდენჯერმე, ბინის ქირასაც მიხდიდნენ, სხვა დახმარებასაც მიწევდნენ, მაგრამ რაც ბატონმა სუბარმა შეძლო, ეს უფრო ალბათ ზღაპრის სფეროს განეკუთვნება. არ ვიცი, როგორ ვთქვა მადლობა. ორი თვეც არ დაგვიანებია და ხომ ხედავთ, ქალაქის ცენტრში, უკვე საკუთარი სახლის პატრონი ვართ. უფალი ფარავდეს ყველა ასეთ ადამიანს“, – თქვა ჟურნალისტებთან საუბარში ქალბატონმა მარინა ორმოცაძემ.

მასპინძლის ინფორმაციით, პირველ რიგში, მოსაწესრიგებელია კანალიზაციის ქსელი და კიბის რიკულები, მცირე სარემონტო სამუშაოებს კი თვითონვე შეძლებენ.

„კანალიზაციის ქსელი რომ მოსაწესრიგებელია, ეზ-

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს



ალიონი. ქალაქ ოზურგეთში მიმდინარე გზების ინტენსიური სარეაბილიტაციო სამუშაოები ქალაქის მერმა, მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, კლდიაშვილის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა. აქ მდებარე სკვერში ფილაქნის, მწვანე გაზონისა და მესრის აღდგენა მიდინარეობს. ოქტომბრის ბოლომდე ადგილობრივებს უკვე განახლებული და კეთილმოწყობილი სკვერი ექნებათ. პარალელურად, აქტიურ ფაზაშია ჭავჭავაძის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები. ორივე ზემოთ ხსენებულ პროექტს შპს ''ავტომატიკა'' ასრულებს. ოზურგეთის მერმა, ბეგლარ სიორიძემ ქალაქის ქუჩების მოასფალტების სამუშაოები მოინახულა. ამჯერად გზის რეაბილიტაციის პროცესი ნიკოლაძის, ჭანტურიასა და გრიბოედოვის ქუჩებზე მიმდინარეობს. სამუშაოებს შპს **''black sea group''** ასრულებს. აღნიშნულმა კომპანიამ ასფალტის საფარი უკვე დააგო გურამიშვილის, ფარნავაზ მეფისა და რუსთაველის ქუჩებზე. დღესდღეობით ასფალტი ისეთ ქუჩებზეც იგება, სადაც გზა ათეული წლების მანძილზე არ შეკეთებულა. გზების მოასფალტება ქალაქის მერიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რომელიც მოსახლეობის მთავარი მოთხოვნა გახლდათ. ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოები მომავალშიც ინტენსიურად გაგრძელდება.

მოსახლეობის თხოვნა შესრულებულია

ალიონი. გურამიშვილის ქუჩის 7-ში მდებარე კორპუსის რეაბილიტაცია დაიწყო გურამიშვილის ქუჩის 7-ში მდებარე კორპუსში სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე ოთხი დღეა დაწყებულია. ადგილზე კორპუსის დასავლეთის ფასადის თუნუქის ფურცლით შეფუთვა, ორივე სადარბაზოს შესასვლელის გრძივი კედლის შელესვა, წყალგამტარი და წყალშემკრები მილების დაყენება მიმდინარეობს. გამართულ შეხვედრაზე ადგილობრივებმა ქალაქის მერს გამოჩენილი ყურადღებისთვის მადლობა გადაუხადეს და აღნიშნეს, რომ მათ კორპუსში კაპიტალური რეაბილიტაცია ოც წელზე მეტია, არ ჩატარებულა. შეკრებილმა მოსახლეობამ კორპუსის უკანა ფასადის რეაბილიტაციის საჭიროებაზეც ისაუბრა. ბეგლარ სიორიძე მათ აღნიშნული საკითხის მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინება დაპირდა. აქაურ მცხოვრებლებს ბეგლარ სიორიძე რამდენჯერმე სპეციალურად მათთვის დაგეგმილ შეკრებაზე, ადგილზე სიტუაციის პირადად შესწავლისას და ამჯერად, უკვე სამუშაოების დაწყების შემდეგ შეხვდა. პირველ შეხვედრაზე გურამიშვილის ქუჩის მცხოვრებლებმა ქალაქის მერს თანადაფინანსება შესთავაზეს, თუმცა ქალაქის მერია რეაბილიტაციას ასპროცენტიანი წილით ადგილობრივი ბიუჯეტიდან 9 526 ლარით უზრუნველყოფს. სამუშაოები, რომელსაც შპს ''დეგო'' ასრულებს, ოქტომბრის ბოლოსთვის დასრულდება და ადგილობრივების პრობლემა, უამინდობისას საცხოვრებელი ფართების დატბორვასთან დაკავშირებით, საბოლოოდ გადაიჭრება.

ომის ვეტერანები თავიანთი უფლებების დაცვაზე ზრუნავენ

ალიონი. შეიქმნა გურიის ვეტერანთა დაცვის კომიტეტი. ამ კომიტეტს აფხაზეთის ომის მონაწილე გენო ჭელიძე უხელმძღვანელებს.

საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისთვის მებრძოლი ვეტერანების ერთინ ჯგუფი გაზეთ „ალიონში“ მოვიდა და თავიანთ უფლებებსა და პრობლემებზე გვესაუბრა.

გენო ჭელიძე: – ჩვენი კომიტეტის უფლებებში შედის ომის ვეტერანების უფლებების დაცვა;ვეტერანთა დახმარება და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა; ვეტერანთა ჰუმანიტარული დახმარება.

–მანც რა გახდა კიდევ ერთი მსგავსი ორგანიზაციის შექმნის მიზეზი?

–საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლები სახელმწიფოსაგან დახმარებას იღებენ 22 ლარის ოდენობით. თუ რა თანხაა ეს ლარის დღევანდელი კურსიდან გამომდინარე, თავად მიხვდებით. მეორე – ვეტერანები არ არიან დასაქმებულები სამსახურებში. რეგიონში სულ ორი პირი იყო დასაქმებული საჯარო სამსახურში. აქედან ერთი ლანჩხუთში გაათავისუფლეს...

–რაში ხედავთ გამოსავალს?

–გამოსავალს ხელისუფლების თანადგომაში ვხედავ. ასევე შეიძლება გვერდით კერძო ბიზნესიც დაგვიდგეს, რათა შევქნათ სამუშაო ადგილები, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოების სახით. მაგალითად. შევქნათ მეცხოველეობის ფერმა..

–რამდენი ვეტერანი ირიცხება ამჟამად რეგიონში?

–რეგიონში 3200-მდე ვეტერანია. ესენია როგორც აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომის ვეტერანები, ასევე რუსეთ-საქართველოს ომის, ავღანეთის სამშვიდობო მისიის მონაწილენი.

ჩვენ ჩვენი წევრების უფლებებს დავიცავთ.

მცენარე - ნიადაგი - სასუქი

მიწათმოქმედების ყველა ამოცანა ითვალისწინებს მცენარის ნორმალურ კვებას, რაც განაპირობებს არა მარტო მოსავლიანობის არამედ ხარისხიანობის ზრდასაც.

მცენარის კვება ნივთიერებათა ცვლის პროცესის ნაწილია და მისი სიცოცხლის საფუძველია. მცენარის განვითარების ძირითადი მიზანია ორგანული ნივთიერებების შექმნა. ადამიანები და ცხოველები იყენებენ მცენარის მიერ შექმნილ ორგანულ ნივთიერებებს, რაც მათთვის სიცოცხლის წყაროა. ამ ორგანული ნივთიერებების შექმნისთვის მცენარე ვითარდება ფესვებით ნიადაგში, მხოლოდ მიწისზედა ნაწილით ატმოსფეროში. მიწისზედა ნაწილით ფოთლებით იგი მხოლოდ ნახშირორჟაგს და მცირე რაოდენობით აზოტს ითვისებს, სხვა დანარჩენი კომპონენტების წყლის და მინერალური ნივთიერებების შეთვისება ნიადაგიდან ხდება.

მცენარის შემადგენლობაში 70-ამდე ელემენტია აღმოჩენილი. მცენარისათვის ყველა საჭირო ელემენტი ერთფასოვანი და შეუცვლელია. არებობს მინიმუმის კანონი, რაც ნიშნავს, რომ ერთი საკვები ელემენტის ნაკლებობა არ შეიძლება ანაზღაურდეს მეორეს სიჭარბით. სწორედ ამიტომ არ არის მიუღებელი ცალმხრივი განოყიერება, რომელსაც ძალიან ხშირად მიმართავენ ჩვენი ფერმერები.

დღეისათვის ჩვენი საზრუნავი ძირითადად საკვები ელემენტებიდან აზოტი, ფოსფორი და კალიუმია. ამ ელემენტებს მცენარე დიდი რაოდენობით ითხოვს და მათ მაკროელემენტები ეწოდება, თუმცა ბოლო ხანებში შეინიშნება მცენარეების მოთხოვნილება სხვა საკვებ ელემენტებზეც. კერძოდ: მაგნუმი, კალციუმი, გოგირდი, მანგანუმი, თუთია, სპილენძი და სხვა. ბევრი ამ ელემენტის შიმშილის ნიშნებიც კი შეინიშნება მცენარეებზე. თითოეულ ამ საკვებ ელემენტს თავისი როლი აკისრია მცენერის ზრდა განვითარებაში.

მცენარის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის არეს რეაქციას. ყველა მცენარეს გააჩნია თავისი ოპტიმალური არეს რეაქცია. ნორმალურ პირობებში იგი არ უნდა იყოს არც მჟავე და არც ტუტე. არეს რეაქცია იზომება წყალბადიონთა კონცენტრაციის პჰ-ის მიხედვით. ყველაზე სასურველია პჰ -4,5-6,5 შორის.

ყოველივე ზემოთ-თქმულიდან გამომდინარე ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლა, ნიადაგის ნაყოფიერების არეს რიაქციის განსაზღვრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მცენარის ზრდა განვითარების ასპექტში.

ექსტენციის სამსახური არის სოფლის მეურნეობის ინტელექტუალური უზრუნველყოფის ფორმა. იგი XIX საუკუნის 70 წლებში ჩამოყალიბდა ამერიკის შერთებულ შტატებში და შემდეგ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს. შესაბამისად 1964 წელს საქართველოს სოფლის მეურმეობის სამინისტროში შეიქმნა აგროქიმიური სამსახური, რომლის მომსახურეობის სფეროს შეადგენდა ნიადაგი, სასუქი და მცენარე. ამ სამსახურის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენს ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი ”ანასეული”, რომელიც მომსახურეობას უწევდა და უწევს საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულ საწარმოებს და ფერმერებს.

ცენტრ ''ანასეული''-ს 50 წლის გამოცდილება აქვს, ნიადაგეების გამოკვლევის, ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის, ნიადაგის დაცვის, ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების, სასუქებისა და სხვა აგროქიმიკატების რაციონალურად გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავების კონკრეტული ნაკვეთებისათვის.

მას აქვს ჩატარებული ნიადაგების გამოკვლევების 5 ტური, ამიტომ გაჩნია საქართველოს ნიადაგების, ხარისხობრივი მაჩვენებლების დიდი საინფორმაციო ბანკი.

ცენტრ ''ანასეული''-ს დიდი გამოცდილება აქვს ფერმერებთან მუშაობის და ურთიერთობის. მონაწილება აქვს მიღებული მრავალ საერთაშორისო პროექტებში, გააჩნია აკრედიტებული ლაბორატორია.

ცენტრი ''ანასეული'' წარმოადგენს აგროკონსალტინგის სამსახურის ერთ-ერთ რგოლს თავისი საინფორმაციო ბაზით, კვალიფიციური კადრებით მას შეუძლია დიდი წვლილი შეეიტანოს სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში. უახლოეს პერიოდებში დაგეგმილია ცენტრ ''ანასეული''-ს შენობის რეკონსტრუქცია და მისი აღჭურვა უახლოესი ხელსაწყო აპარატურებით.

ნიადაგი ქვეყნის სიმდიდრეა, ამიტომ მისი დაცვა ყველა ჩვენთაგანის მოვალეობაა, რადგან არასწორი ექსპლოატაცია იწვევს ნაყოფიერების დაცემას, ფიზიკო-ქიმიური თვისებების გაუარესებას, რაც ძალიან ხშირად შეიმჩნევა საქართველოში უკანასკნელ წლეებში, რამაც გამოიწვია მოსავლიანობათა შემცირება უმეტეს კულტურებში.

“მიხედეთ მიწას, მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ თქვენ” ამბობს ილია II.

რუსუდან ტაკიძე.
სოფ. მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ცენტრ „ანასეული“-ს დირექტორი

სოზარ სუბარი გურიაში

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ლანჩხუთსა და ოზურგეთში ის საცხოვრებელი სახლები დაათვალიერა, რომლებიც უსახლკარო მოქალაქეებს მისმა უწყებამ შეუძინა

ოში შემოსვლისთანავე შევამჩნიე. ქალაქის მერია ხვალიდანვე შეუდგება ამ თქვენი პრობლემის მოგვარებას, კიბეებსაც გავუკეთებთ რიკულებს“, – უთხრა ბეგი სიორიძემ ქალბატონ მარინას.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კმაყოფილი დარჩა დამენიას ქუჩაზე აკაკი რუსიეშვილისთვის შეძენილი ბინითაც.

„სოფელ მერიაში ვცხოვრობდით, 2008 წელს მეწყერმა მთლიანად დაგვინგრია სახლკარი. ხან სად ვაფარებდით თავს და ხან სად. მაშინდელ ხელისუფლებასაც მივმართეთ, მაგრამ თავი დიდად არავის შეუწუხებია. 14 იანვარს სოფელში მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე გვესტუმრა, რომელმაც ჩვენი მდგომარეობის შესახებ სამინისტროს აცნობა და ასე გავხდით ამ სახლის მეპატრონეები“, – მოკლედ გაგვაცნო რუსიეშვილების შვიდწლიანი თავგადასავალი ოჯახის დიასახლისმა.

აქვე გაირკვა, რომ ხუთსულიან ოჯახს, სადაც ერთი შშმ პირია და ერთ ბავშვს მეტყველების პრობლემები აქვს,საცხოვრბელი სახლის გადაცემის შემდეგ სოციალური დახმარება შეუწყვიტეს.

– დახმარებას თუ იღებთ რაიმეს? – ჰკითხა ქალბატონს გუბერნატორმა.

– სოციალურ დახმარებას ვიღებდით, მაგრამ რაც ეს ბინა შეგვიძინეს, შეგვიწყდა, – უპასუხა ქალბატონმა.

– ხვალ მობრძანდით ჩემთან, გავარკვევთ, – დაიმედა ოჯახის დიასახლისი მხარის პირველმა პირმა.

ვიზიტის ბოლოს მინისტრმა ძველი საავადმყოფოს ტერიტორიაზე მოინახულა მიმდინარე სამუშაოები უსახლკაროთათვის განკუთვნილ კორპუსში. თავშესაფარი ნოემბრის ბოლოს უნდა ამოქმედდეს, აქ 60 ოჯახს გადაეცემა საცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით.

„ანალოგიურ პრობლემას ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტიც წყვეტს, რომელიც სოფელ მერიაში, ყოფილი სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე კაპიტალურ რემონტს უტარებს ხუთსართულიან საცხოვრებელ კორპუსს“, – თქვა მინისტრთან საუბარში გურიის გუბერნატორმა.

სახალხო დღესასწაული „შემოქმედობა“

თუ თემის აღმშენებლობის საქმეში, საპატიო სიგელები და ფულადი ჯილდო გადასცა. „საპატიო შემოქმედელის“ წოდება მიენიჭათ: დამსახურებულ პედაგოგებს **ვენერა გოლიაძეს, ეთერ გარაყანიძეს**, აკადემიკოს **თამაზ შილაკაძეს:** მუნიციპალიტეტის დამსახურებული მოღვაწის –**ლიანა ასლამაზიშვილს;** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის –**დავით შემოქმედელს** (პოეტი, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი).

–ეს ულამაზესი ადგილი არაერთი ღირსეული ქართველის მშობლიური სოფელია. გამორჩეული ლანდშაფტის გამო იგი წლის ნებისმიერ სეზონზე უამრავ სტუმარს მასპინძლობს. ამიტომ გადავწყვიტეთ აღგვედგინა ლამაზი ტრადიცია, რომელსაც საფუძველი 38 წლის წინ ჩაეყარა. მოვაწყვეთ ინფრასტრუქტურა და კიდვ უფრო გავალამაზეთ აქაურობა. სურვილი გვაქვს ყველა სოფლის დღე დავაწესოთ და ყოველწლიურად დავაჯილდოვოთ აქ მცხოვრები დამსახურებული ადამიანები,- აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **მერაბ ჭანუყვაძემ**.

–როცა ჩემს სოფელზე ვფიქრობ, მუდამ მახსენდება თავზარდამცემი გენიოსის ჰომეროსის ერთ-ერთი ნაწარმოების პერსონაჟი, რომ ეუბნება ოდისევსს: –დასთმე სამშობლო და უკვდავებას მოგანიჭებო. იმდენად შეუცვლელია სამშობლოს ხატი, რომ ოდისევსს თავისი ადგილის დედა გაახსენდა და უპასუხა: – ითაკას კვამლი მირჩევნია თქვენს უკვდავებას. როცა ჩვენს ხეობებში ჩაწოლილ რძისფერ ნისლს, კრიმანჭულივით მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებსა და ჩვენი ბუხრებიდან ცისკენ აზნექილ კვამს ვუყურებ, ყველაზე მძაფრად ვგრძნობ: – რა ტკბილი ყოფილხარ, სამშობლოვ!! ასეთი მაღალი პატივისთვის მადლობას მოვახსენებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელსა და საკრებულოს ხელმძღვანელებს, მერაბ ჭანუყვაძესა და დავით დარჩიას, გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს ყველა წევრს, გაუმარჯოს ჩვენს დახატულ გურიას, ამ უკიდეგანო სამყაროში არამიწიერი სილამაზის მქონე ერთადერთ, უფლის სახელის მატარებელ სოფელ შემოქმედს– აღნიშნა თავის სამადლობელ სიტყვაში დავით შემოქმედელმა.

ღონისძიება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურისა და აიპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის“ ორგანიზებით მოეწყო.

კონცერტში მონაწილეობდნენ ფოლკლორული ანსამბლები: „იადონი,“„შემოქმედი,“„ოცნება,“ ქორეოგრაფიული ანსამბლები: „დზიეტი“ (ლატვიიდან), „ზენაარი,“ „კოლხა,“„ურეკი,“„ბალავარი,“ფოლკლორის ცენტრის ვაჟთა და გოგონათა ანსამბლი.

დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ ანსამბლ „მეტეხისა“ და თსუ „გორდელას“ კონცერტი გაიმართა. ზეიმი ფეიეერკით დასრულდა.

ყურბან-ბაირამის დღესასწაული აღინიშნა

შე-მდეგ იმამმა ჯამეს ტერიტორიაზე მყოფთ წმინდა დღესა-სწაული მიულოცა და სიტყვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე არჩ-ილ ყაზაიშვილს გადასცა.

– დღევანდელ დღეს მივულოცავ ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა მუსლიმს, ეს დღე ხომ არის სიყვარულისა და ურთიერთდახმარების დღე. გვჯერა ერთად დგომით საერთო წარმატება გვექნება.

იმამმა არჩილ ყაზაიშვილს ჯამეს რეკონსტრუქციის თემაზეც ესაუბრა.

– თავად ხედავთ, ჯამე დღესასწაულებზე მლოცველთა ნახევარს ვერ იტევს. ამიტომ გვინდა უფრო დიდი შენობის აგება. ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში უნდა მოხდეს.

მლოცველებმა გაზეთ „ალიონთან“ გულისტკივილით აღნიშნეს, რომ დაბაში მომრავლდნენ ე.წ. „ვაჰაბიტები“, რომლებიც მათთან არც სალოცავში დადიან და ერთგვარად უპატივცემულოთაც კი ეპყრობიან სხვა მუსლიმებს. ისლამი კი სიყვარულის, ურთიერთდახმარების, ძმობის და მეგობრობის მქადაგებელი რელიგიაა. უზანაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს: „რელიგიაში იძულება არ არის, გზა ჭეშმარიტებისა ნათლადაა გარჩეული ცდომილისაგან". ეს წმინდა აიათი გვეუბნება და გვარიგებს, რომ ჩვენ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა. ჩვენ ერთმანეთს პატივი უნდა ვცეთ, თუ ნდაც მხოლოდ იმისათვის, რომ ადამიანები ვართ.

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია ოზურგეთში

ალიონი. 19 სექტემბერს, ოზურგეთს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია სტუმრობდა. მან „თავისუფალი დემოკრატების“ ოზურგეთის ოფისი გახსნა და წინასაარჩევნო შეხვედრა გამართა ამომრჩევლებთან.

„თავისუფალი დემოკრატების“ რეგიონული ორგანიზაციის ლიდერმა თემურ სალუქვაძემ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ იწყება დღევანდელი ხელისუფლების დემონტაჟი.

ირაკლი ალასანიამ თავის სიტყვაში ხალხს ერთობისკენ მოუწოდა, ხოლო შემდეგ ჟურნალისტებთან, გიგი უგულავას საქმესთან დაკავშირებით განაცხადა:

–ერთი მხრივ, ჩემთვის როგორც ადამიანისთვის, ძალიან მძიმე სანახავი იყო ეს ყველაფერი. მეორე საკითხია ის, რომ სასამართლოს მიმართ საზოგადოებაში ნდობა დაკარგულია. პროკურატურა გროტესკულ მდგომარ-ეობაშია, ერთადერთ გამოსავალს ვხედავ იმაში, რომ წავიდეს ეს უუნარო ხელისუფლება და პოლიტიკაში მოვიდნენ ახალი ძალები. რაც ახლა ხდება ქვეყანაში, ეს არის პოლიტიკური კოლაფსი.

ყველა საქმე უნდა იყოს მიუკერძოებლად გამოძიებული და დამნაშავე დასჯილი. ადამიანურად ეს ძალიან მძიმე სანახავი იყო., მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ ყველას გვაქვს უიმედობის და უპერსპექტივობის განცდა და ეს ამ ხელისუფლების ბრალია.

ფერმერი სუფრაზე

№2 09.2015

სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ



როგორ ვაწარმოოთ უვნებელი პროდუქცია – რჩევები ფერმერებისა და მეწარმეებისათვის

ნესტან ჩაგელიშვილი
„ახალი გაზეთი„ ქუთასი

გზა, რომელსაც პროდუქცია მწარმოებლიდან მაღაზიის, ან ბაზრის დახლამდე გადის, ხშირად უკონტროლოა, ელემენტალურ ჰიგიენურ ნორმებს ვერ აკმაყოფილებს. შესანახ საწყობებში არ არის დაცული ტემპერატურა, ვენტილაცია, სათანადოდ არ ირეცხება, სადგომში უამრავი მწერია, რომელსაც შეუძლია ჯანმრთელი პროდუქტი დაასნებოვნოს.

იმისათვის, რომ ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტი მოხვდეს, აუცილებელია სურსათის უვნებლობის ქართული კანონმდებლობის, ევროსტანდარტების არსებული მოთხოვნების და სამომავლოდ დაგეგმილი ცვლილებების ნორმების დაცვა. ასოცირების ხელშეკრულების ერთ–ერთი მოთხოვნა სწორედ პროდუქციის უსაფრთხო და სტანდარტების შესაბამისად წარმოებაა.

თავდაპირველად ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრმა ვალდებულებებმა მოსახლეობაში გაურკვევლობა და შიში გამოიწვია. ფერმერთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ არსებული ნორმები მათ საქმიანობას გაართულებდა, თუმცა, იმისათვის, რომ მწარმოებლებმა აუცილებელი სტანდარტების შესრულება ეტაპობრივად და მარტივად შეძლონ. მთავრობამ ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიხლოების გეგმა 2030 წლამდე პერიოდზე გაწერა.

უნდა გავიაზროთ, რომ ნებისმიერი პროდუქცია, რომელიც ხვდება ბაზარზე და ადამიანი მოიხმარს, უნდა იყოს უვნებელი.

რისკის შესამცირებლად საჭიროა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ჰიგიენის ზოგადი წესების დაცვა.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის #173 დადგენილების შესაბამისად, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული უნდა იყოს, როგორც მაღაზიებსა და სარეალიზაციო ობიექტებში, ასევე სოფლად არსებულ ფერმებში, რადგან ეს არის ჯაჭვური პროცესი და ყველა რგოლი შესაბამის დაცვას მოითხოვს.

რაც შეეხება მეწარმეს, ის უნდა დარეგისტრირდეს სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორად, რის შემდგომ, იგი მიიღებს ბიზნესოპერატორის სტატუსს.

სურსათის წარმოებისას უნდა დაცული იყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სურსათის უვნებლობის მოთხოვნები: წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ეტაპებზე. ასევე წარმოებულ სურსათს გაუკეთოს ეტიკეტი, სადაც მითითებული იქნება პროდუქციის შემადგენლობა და ვადები.

ეს მოთხოვნები 2020 წლის 1 იანვრამდე არ გავრცელდება სურსათის მწარმოებელ ფიზიკურ პირებზე, თუმცა კანონის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა სარეალიზაციო პუნქტებისათვის.

თუ პირი სტაბილურად აწვდის ობიექტს პროდუქციას, ეს არის წარმოება და შესაბამისად, მასზე პირდაპირ ვრცელდება ჰიგიენის მოთხოვნები. ჰიგიენის ნორმების დაცვა ეხება როგორც შენობას, სადაც პროდუქციის წარმოება ხდება, ასევე მის ტექნიკურ აღჭურვას, ტექნოლოგიურ პროცესებს, პერსონალს, მის ჰიგიენას, ეტიკეტირებას, დაფასოებასა და ტრანსპორტირებას, რადგან შესაძლოა პროდუქცია ტრანსპორტირების დროს დაბინძურდეს. ასევე აუცილებელია საწარმოში დასაქმებულთა მდგომარეობის შემოწმებაც.

თუ გლეხი სისტემატიურად აწვდის პროდუქციას ბაზარს, მას შეუძლია წარმოებული სურსათი ლაბორატორიულად შეამოწმოს, რადგან თავიდან აიცილოს რისკები და გახდეს უსაფრთხო პროდუქციის მწარმოებელი.

HACCP -ის დანერგვა ამჟამად სავალდებულოა, თუ ბიზნესოპერატორი წარმოადგენს სასაკლაოს, ანდა ახორციელებს ნედლი რძის თერმულ დამუშავებას. სტანდარტის დაცვა სავალდებულოა წვრილი ფერმერებისთვის, თუმცა სურსათის უვნებლობის უფრო მაღალი სტანდარტის მისაღწევად , კანონი გარკვეულ დროს იძლევა.

წვრილი მწარმოებლებისათვის ერთ–ერთი ეფექტური გზაა კოოპერატივის ჩამოყალიბება, რომლის წევრებიც თავად მოახდენენ პროდუქციის რეალიზაციას.

სურსათის სახეობაზე და შემოწმების მიზანზე დამოკიდებულებით სურსათი შესაძლოა გამოკვლეული იქნას შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით და/ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანებით გათვალისწინებულ პარამეტრებზე. ლაბორატორიები, სადაც შესაძლებელია პროდუქციის შემოწმება, საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში არსებობს. ამასთან, მუშაობს კერძო ლაბორატორიებიც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ტრანსპორტირება ხდებოდა პროდუქციის დაბინძურების მიზეზი. ცხოველების დაკვლა და დამუშავება სოფლებში არაჰიგიენურ პირობებში ხდებოდა, თუმცა სასაკლაოების შემოღებამ ხორცის დამუშავების პროცესი ცივილურ ჩარჩოში მოაქცია, თუმცა სასაკლაოების საკითხმა თავდაპირველად რიგი უკმაყოფილება გამოიწვია. ხორცის მაღაზიის მეპატრონეები თვლიდნენ, რომ პირუტყვის სასაკლაოზე ტრანსპორტირება და დაკვლის ხარჯები ხორცზე ფასის მატებას გამოიწვევდა. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ სასაკლაოებზე პირუტყვის დაკვლა ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი რგოლია უვნებელი ხორც–პროდუქტების საწარმოებლად.

იმისათვის რომ სტაბილურად აწარმოო უვნებელი სურსათი, უნდა წარმართო წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ეტაპები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის პირობებში. ამ პირობების უზრუნველყოფა, მოიცავს გარკვეულ დანახარჯებს, შესაბამისად, შესაძლოა, მას ფასების მატებაც მოყვეს, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პროცესის დაცვა ადამიანთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას ემსახურება.

ინტერვიუ

დარღვევის შემთხვევაში, მომხმარებელმა თვალი არ უნდა დახუჭოს

მოწმდება თუ არა პროდუქტები, რომელიც სუპერმარკეტებსა და ბაზრებში იყიდება. რა მექანიზმები მოქმედებს მათი ვარგისიანობის დაცვის, შენახვის, ტრანსპორტირებისა და ჰიგიენური ნორმების დასაცავად. ამ მნიშვნელოვან საკითხებზე სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი კახა სოხაძე საუბრობს.

ნინო გექაური,
გაზეთი „დიდგორელები"

— რა ახალი რეგულაციები ამოქმედდა სურსათის ეროვნული სააგენოტოს მიერ და სურსათის რომელ სახეობებს შეეხო?

— სურსათის უვნებლობის კონტროლის ფორმა მთლიანად მოძველებული და, პრაქტიკულად, შეჩერებული იყო. 2012 წლიდან კონტროლი აქტიურ ფაზაში შევიდა და ახლა სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო კონტროლს დასავლური კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს.

— რა უნდა იცოდეს მომხმარებელმა ახალი რეგულაციების შესახებ?

— მხოლოდ მიმდინარე წელს არაერთი რეგულაცია ამოქმედდა, რომელიც მომხმარებლის უფლებების დაცვისკენ არის მიმართული. მაგალითისთვის რამდენიმე მათგანზე გავამახვილებ ყურადღებას: ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილება თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, რომელიც ადგენს მოთხოვნებს ნატურალური თაფლის მიმართ და აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ თაფლის წარმოებისა და ბაზარზე განთავსების საკითხებს.

(გაგრძელება მომდევნო გვ.)

საჭირო ინფორმაცია მწარმოებლებისთვის

HACCP - საფრთხის ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო წერტილები - მეთოდი გამოიყენება მთელი მსოფლიოს მასშტაბით სურსათის წარმოებაში

რა არის HACCP?

HACCP-ს პრინციპები, რომელიც შემუშავებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა (WHO) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UNFAO) Codex Alimentarius კომისიის მიერ მოითხოვს, რომ საფრთხეებისა და რისკების ანალიზის სისტემური მიდგომის გზით, ორგანიზაციამ ჩამოაყალიბოს შედეგიანი სურსათის უვნებლობის სისტემა. სურსათის და ფარმაცევტული წარმოების უვნებლობის სისტემაში საფრთხეებისა და რისკების ანალიზის სისტემური მიდგომა უფრო მეტად მიმართულია ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფრთხეების წარმოქმნის წყაროების პრევენციის უზრუნველყოფაზე, ვიდრე საბოლოო პროდუქტის კონტროლზე.

სტანდარტი გამოიყენება სურსათის წარმოებაში სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად პოტენციური საფრთხეების იდენტიფიკაციის მიზნით, რათა შეამცირდეს ან აღმოფხვრას საფრთხის წარმოშობის რისკი იმ მნიშვნელოვან ეტაპებზე, რომლებსაც ვუწოდებთ კრიტიკულ საკონტროლო წერტილებს (CCP's). სისტემა გამოიყენება სურსათის წარმოების და მომზადების ნებისმიერ ეტაპზე.

HACCP?

HACCP-ს გამოყენება შეუძლია ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც მონაწილეობს სურსათის და ფარმაცევტული ნაწარმის მიწოდების ჯაჭვში.

HACCP-ს უპირატესობები:

- ვალდებულება - სასურსათო ჯაჭვში მონაწილე კომპანიებმა უფრო მკაფიოდ უნდა შეძლონ შედეგიანი HACCP-ს სისტემის დემონსტრირება. გარდა ამისა, სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად ოფიციალური მიდგომის ვალდებულების აღება დაგეხმარებათ წარმოაჩინოთ თქვენი ვალდებულება საკანონმდებლო მოთხოვნებთან მიმართებაში, რადგან ეროვნული კანონმდებლობა მოითხოვს HACCP სისტემას.
- ნდობა - თქვენი კლიენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისა, რომლებიც ხედავენ სურსათის უვნებლობის მიმართ თქვენს სერიოზულ მიდგომას.
- კომპეტენტურობა - თქვენს კონკურენტებთან შედარებით თქვენ გახდებით გამორჩეული, რაც საშუალებას მოგცემთ გახდეთ სანდო მიმწოდებელი.
- წყარო: Iso Consulting / სურსათის გლობალური სტანდარტის მიხედვით.

ვის შეუძლია გამოიყენოს

ფერმერის სუფრაზე

სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ

როგორ ავიცილოთ საქონლისგან გადამდები დაავადებები

მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონლიდან ადამიანზე გადამდებ დაავადებათა ჩამონათვალი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. დაავადება ადამიანს დასნეულებული პირუტყვის რძისა და ხორცის მიღებით გადაეცემა. მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ცხოველთა დროული ვაქცინაცია და კონტროლი.

ეკა გარამიძე, გაზეთი „გათუმელები„

ბრუცელოზი, ჯილეხი, ტუბერკულოზი, მუცლის ტიფი, პარატიფი, დიზენტერია, სტრეპტოკოკური ანგინა, ლეპტოსპიროზი, თურქული, ცისტიცერკოზი, ყირიმ-კონგოს ცხელება - ეს იმ დაავადებების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც ადამიანს დაავადებული საქონლის ხორცისა და რძის პროდუქტების მიღებით გადაედება.

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამით უფასო ვაქცინაციას თურქულზე, ჯილეხზე, ცოფზე, ცხვრისა და თხის ყვავილსა და ნოდულარული დერმატიტიზე ატარებს. რაც შეეხება ისეთ საშიშ გადამდებ დაავადებებს, როგორიცაა ბრუცელოზი და ტუბერკულოზი, სახელმწიფო პროგრამები ამ დაავადებებზე არ ვრცელდება. მეტიც, საქონლის ტუბერკულოზთან დაკავშირებით მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონლის გამოკვლევა ბოლო რამდენიმე წელია არ ჩატარებულა.

მსხვილფეხა საქონელში ბრუცელოზის გამოსავლენად კვლევა, გასულ წელს ჩატარდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ანგარიშის მიხედვით, ბრუცელოზის რუტინული მონიტორინგის ფარგლებში ბრუცელოზზე გამოკვლეულია 133 825 სული მსხვილფეხა საქონელი, დაავადებული აღმოჩნდა 2903 სული. ოფიციალური მონაცემებით, საკარანტინო დაავადება საქართველოს ყველა რეგიონშია გამოვლენილი.

ბრუცელოზის სწორი დიაგნოზი მხოლოდ ლაბორატორიული კვლევით არის შესაძლებელი, დაავადების ლიკვიდაციისთვის კი პრევენციული ღონისძიებების გატარება და ვაქცინაცია აუცილებელია. ვეტერინარების თქმით, ამ დაავადებასთან ბრძოლა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, შესაბამისად, ცხოველთა სრულყოფილი გამოკვლევები ძალიან მნიშვნელოვანია. დაავადების თავიდან ასაცილებლად საქართველოში პირუტყვს ვაქცინაცია არ უტარდება, მეტიც, ვაქცინა საქართველოში არ იყიდება.

ბრუცელოზის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული გეგმა სახელმწიფომ წელს შეიმუშავა. დოკუმენტს ხელი 2015 წლის თებერვალში სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნოდარ კერესელიძემ, სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ზაზა დოლიძემ და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის FAO-სწარმომადგენელმა საქართველოში რაი მუნდიელემ მოაწერეს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსის, ჯამბულ მაღლაკელიძის თქმით, სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია ბრუცელოზთან ბრძოლის მექანიზმები. „ძოიაზრება კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მექანიზმი, ვაქცინის შერჩევა, რომელიც აპრობირებულია ევროპისა და მოწინავე ქვეყნებში", - ამბობს ჯამბულ მაღლაკელიძე.

„ასოციაცია მომავლის ფერმერის" მთავარი ვეტერინარი და ბიოლოგიის დოქტორი მიხეილ ჭიჭაყუა ბრუცელოზისგან დასაცავად მოსახლეობას ურჩევს პასტერიზებული რძე მიირთვან, ოჯახის პირობებში ყველის დამზადებისას კი, რძის ამოსვლიდან 15 წუთით უნდა ხარშონ. მისი თქმით, ყველაზე უსაფრთხო სულგუნია, ყველის დანარჩენ სახეობაში კი დაავადების რისკი მაღალია. ვეტერინარი აქვე გვირჩევს, რომ ხორცი კარგად მოვხარშოთ.

მიხეილ ჭიჭაყუას თქმით, ადამიანში ბრუცელოზი შემდეგი სიმპტომებით ვლინდება: „ბრუცელოზს ახასიათებს ცხელება, ტემპერატურა აღწევს 40-41 გრადუსს, შეიძლება ეს სიმპტომები გაგრძელდეს 7-10 დღე. აღინიშნება ადინამია, უძილობა, გაღიზიანებადობა, ბოდვა, ტაქიკარდია, ხუთვა, აირების დაგროვება ნაწლავებში, ძლიერი ოფლიანობა დაფალარათის მწვავე ფორმა. დაავადებას ასევე ახასიათებს ცალკეული კუნთებისა და სახსრების ტკივილი და ნევროზი. ბრუცელოზიანი დედების შვილებს შეიძლება გამოყვეთ თანდაყოლილი სიმახინჯეები და ნერვულ-ფსიქოლოგიური აშლილობა. ზიანდება ელენთა, ღვიძლი, საშვილოსნო, სარძევე და სათესლე ჯირკვლები. ეს ფორმა შეიძლება მიმდინარეობდეს მცირედი გამოვლინებებით 1-2 წელიც კი".

მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონლიდან ადამიანზე გადამდები საშიში დაავადებაა ასევე ჯილეხი, ანუ ციმბირის წყლული. საქონლის სხეულში მოხვედრილი ჯილეხის ბაცილა იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ 2-3 დღეში, ან რამდენიმე საათში მას კლავს. ადამიანი ჯილეხით დაავადებულ ცხოველებთან კონტაქტით ან დაავადებული საქონლის ხორცის მიღებით ავადდება. ასევე შეიძლება დაავადდეს საქონლის ტყავის ქურქისგანაც.

მიხეილ ჭიჭაყუა ჯილეხის გამოვლენის შემთხვევებში, ფერმერებს ურჩევს ვეტერინარებს მიმართონ, მოულოდნელად დავარდნილ საქონელს კი ხელით არ შეეხონ. სპეციალისტი აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ადგილი, სადაც ჯილეხით დაავადებული ცხოველი ან მისი რომელიმე ნაწილი მოხვდება, სათანადო დამუშავების გარეშე დაავადების კერად და ადამიანისთვის საშიშ ზონად მიიჩნევა. თუ საქონელი ჯილეხით დაიღუპება, მისი დამარხვა არ შეიძლება.

დარღვევის შემთხვევაში, მომხმარებელმა თვალი არ უნდა დახუჭოს

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

პირველი აგვისტოდან ამოქმედდა რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, რომლის მიზანია,რძის შემცველი პროდუქტის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და მომხმარებლის უფლებების დაცვა.

ძალაში შევიდა სურსათისა და ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების წესიც.

პირველი სექტემბრიდან ამოქმედდება ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტიც, რომელიც განსაზღვრავს ხორბლის ფქვილის წარმოების, გადამუშავების ან/და დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ნორმებს და მიმართულია მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის.

— ხშირია მომხმარებელთა უფლებების დარღვევის შემთხვევები, რა კონკრეტული მექანიზმები არსებობს მომხმარებელთა უფლებების დასაცავად?

— სურსათის ეროვნული სააგენტოს ძირითადი კურსი სწორედ მომხმარებელთა დაცვაზეა ორიენტირებული. მომხმარებელს ინფორმაცია უნდა ჰქონდეს იმ პროდუქტების უვნებლობის შესახებ, რომელიც სამომხმარებლო ბაზარზეა განლაგებული. აუცილებელი პირობაა, სურსათი იყოს უვნებელი. ეტიკეტზე სრულად უნდა იყოს დატანილი ინფორმაცია მწარმოებლის, პროდუქტის შემადგენლობის, დამზადების თარიღის, სარეალიზაციო ვადის, მისი დამუშავების ფორმის, კვებითი ღირებულების შესახებ, რა განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება. ერთი სიტყვით, კანონმდებლობით განსაზღვრულია, რა ინფორმაცია უნდა იყოს ეტიკეტზე. ამასთან, ინფორმაცია აუცილებლად ქართულ ენაზე უნდა იყოს განთავსებული.

— რამდენად ინტენსიურად ხორციელდება სურსათის უვნებლობის კონტროლი რეგიონებში და არის თუ არა ის ეფექტური ?

— რეგიონებში კონტროლის შედეგად გამოვლენილი დარღვევები და, შესაბამისად, დარიცხული ჯარიმების მოცულობა საკმაოდ დიდია, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. მთავარია სამეწარმეო კულტურის ამაღლება. რეალიზაციის დონეზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს სამომხმარებლო კულტურა. თვალი არანაირ პრობლემაზე არ უნდა დახუჭო, რათა შემდგომში შესაძლებელი გახდეს მისი გამოსწორება. მომხმარებლის მონაწილეობა აუცილებელი ბერკეტია კონტროლის ეფექტურობისათვის.

— ხშირად ხორცი ღია ცის ქვეშ, ქუჩაში იყიდება, რაც დიდი საფრთხის მატარებელია, რა ღონისძიებებს მიმართავთ პრობლემის გადასაჭრელად?

— ხორცის ღია ცის ქვეშ, ქუჩაში გაყიდვა კანონით აკრძალულია. სააგენტო კი აკრძალულ საქმიანობას ვერ გააკონტროლებს, თუმცა აქტიურად ვმუშაობთ მუნიციპალიტეტებთან, გუბერნიებთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რათა აღიკვეთოს ამ სახის ქმედებები.

ჩვენი ზედამხედველობა როგორც პირუტყვის დაკვლის წინ, ასევე დაკვლის შემდეგ და სასაკლაოდან სარეალიზაციო პუნქტამდე მიტანისას ხორციელდება, ასეთ შემთხვევაში, დაცულია ჰიგიენური პირობები. ამავე დროს დაკლულ ტან-ხორცზე დასმული უნდა იყოს ვეტერინარული ბეჭედი.

— HACCP პროგრამის თაობაზე რას გვეტყვით, რამდენად მზად არიან გლეხური მეურნეობები ბიზნეს ოპერატორებთან ერთად დაიცვან წარმოების სტანდარტი?

— HACCP საწარმოს დონეზეა შესასრულებელი და პირველად წარმოებას არ ეხება. საქართველოში მის დანერგვას ეჭვის თვალით უყურებენ, მავრამ წარმოებისთვის საკმაოდ ეფექტურია, ვინიდან ის ამცირებს როგორც საწარმოო, ისე ბიზნეს ხარჯებს. ამავე დროს აადვილებს სახელმწიფო კონტროლსაც. რაც შეეხება გლეხურ მეურნეობებს, პროდუქცია მათ შეუძლიათ ჩააბარონ ჩვეულებრივად, თუმცა უნდა დაიცვან გარკვეული პირობები. მათ მიერ დამზადებულ პროდუქტებზე უნდა იყოს ეტიკეტი, სადაც აღნიშნული იქნება პროდუქციის დამზადების თარიღი, ვარგისიანობა, შენახვის ვადა და სხვა.

ხიახლეები სურსათის უვნებლობის საკითხზე

ეტიკეტირების წესმა მომხმარებლის გამოცოცხლება გამოიწვია

მარინე ჩიხლაძე,
გაზეთი „გურია NEWS"

გურიაში შემოწმებული 95 სასურსათო ობიექტიდან, დარღვევა სამ მათგანში გამოვლინდა.

მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა მთავრობის დადგენილება რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, გამკაცრდა კონტროლი ტექნიკური რეგლამენტით რეგულირებად პროდუქტებზე.

ტექნიკური რეგლამენტი ადგენს პროდუქტის და წარმოების პროცესში უსაფრთხოების, უვნებლობის ძირითად პარამეტრებს. როგორიცაა სურსათის ქიმიური თუ მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები, საწარმოს სანიტარული მოწყობის წესი, თვით ეტიკეტირების საკითხი.

გურიის რეგიონში ორი აგვისტოდან სეს-ის რეგიონული სამსახურის მიერ დაიწყო სურსათის სარეალიზაციო ობიექტების შემოწმება.

დაცულია თუ არა ეტიკეტირების წესი, ხომ არ ყიდიან ვადაგასულ პროდუქტს, შეესაბამება თუ არა სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ნორმით განსაზღვრულს. საკურორტო სეზონის დროს მთელი ძალისხმევა ზღვისა თუ მთის კურორტებისკენაა მიმართული. როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონულ სამსახურში გვითხრეს, შემოწმებული 95 სასურსათო ობიექტიდან, სამ მათგანში გამოვლინდა დარღვევა. ერთი იყო ვადაგასული პროდუქტის, ხოლო ორი ეტიკეტირების წესის დარღვევა.

სურსათს უვნებლობის საკითხზე აქტიურმა მუშაობამ, ეტიკეტირების წესმა და, ზოგადად, სიახლეების დანერგვის პროცესმა, მომხმარებლის გამოცოცხლება გამოიწვია. მოქალაქეები სულ უფრო აქტიურად კითხულობენ ეტიკეტს, აკვირდებიან პროდუქტს, არის თუ არა ხარისხიანი, ხომ არ არის ვადაგასული, - აცხადებენ ოზურგეთის სავაჭრო ცენტრ „მოდერნში".

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
GRMA
SWEDEN

გვერდი მომზადებულია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დაფინანსებით, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტების ფარგლებში. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები. სტატიები არ გამოხატავს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

ანონსი — ნაიკითხეთ მომავალ ნომერში

რა დარღვევები დაფიქსირდა სასმელ წყალში ახალციხესა და ადიგენის მუნიციპალიტეტში

ახალციხის მომხმარებელთა დახმარების ცენტრმა ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებში აგვისტოსა და სექტემბერში სასმელი წყლის 13 ნიმუში აიღო. აქედან 5-ში დარღვევა დაფიქსირდა. ერთ შემთხვევაში კი დარღვევა განმეორებითაც აღმოჩნდა.

სურსათის ცხელი ხაზი:
551 555 267
www.mkidveli.ge

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“

ლუი დე ბროლი (1892-1987). 1913 წელს ბროლმა დაამთავრა სწავლა. 1914 წელს ჩაირიცხა საფრანგეთის არმიაში, სადაც 1918 წლამდე, ომის დამთავრებამდე მუშაობდა. 1924 წელს პარიზის უნივერსიტეტის მეცნიერებათა ფაკულტეტზე წამოაყენა თეზისი „კვლევები კვანტური თეორიის შესახებ“. 1927 წელს წარმოადგინა ელექტრონებისა და სხვა სუბატომური ნაწილაკების ტალღისებური პრინციპები. 1929 წელს სუბატომური ნაწილაკების კვლევისათვის მიიღო ნობელის პრემია ფიზიკის დარგში, ხოლო არასპეციალისტებისათვის თანამედროვე ფიზიკის სახელმძღვანელოს შექმნისათვის დე ბროლი 1952 წელს იუნესკომ კალინგის პრიზით დააჯილდოვა.

მასვე ეკუთვნის „თუ ტალღებს შეუძლიათ იმოქმედონ ნაწილაკების მსგავსად, რატომ არ შეიძლება ნაწილაკები იქცეოდნენ ტალღების მსგავსად?“

ბროლმა შეძლო ეჩვენებინა, რომ ელექტრონს შეუძლია იმოქმედოს ტალღის სახით და მისი გამოთვლა შესაძლებელია პლანკის კონსტანტის გაყოფით ელექტრონის სიჩქარეზე მოცემულ მომენტში. მიუხედავად იმისა, რომ ეს წინადადება ძალზე თეორიულად ჩანდა, ცოტა ხნის შემდეგ სავსებით მისაღები გახდა.

ენრიკო ფერმი (1901-1954). 1923 წელს ერმი სწავლობდა მაქს ბორნის ხელმძღვანელობით გოტინგენში, გერმანიაში. 1934 წელს აღმოაჩინა „ნელი ნეიტრონები“. 1938



წელს მიიღო ნობელის პრემია ფიზიკაში. 1942 წელს მიაღწია ხელოვნურ ჯაჭვურ რეაქციას.

მის მიერ მრავალგზის ჩატარებული ექსპერიმენტების ჩატარების შემდეგ - ყველაზე დიდი შიში გამართლდა – ურანი-235 იზოტოპის ჯაჭვური რეაქცია ატომური ბომბის შექმნის საშუალებას იძლეოდა. ფერმი ჩართეს „მანჰეტენის პროექტში“, რათა აშშ-ს გერმანელებზე ადრე დაემზადებინა ატომურო ბომბი. ჩიკაგოში ეფრმი ხელმძღვანელობდა გუნდს, რომელიც მუშაობდა მდგრად ბირთვულ რეაქციაზე. 1942 წელს მათ შექმნეს ატომური რეაქტორი გრაფიტის ბლოკებისაგან, რომელშიც ურანი იყო მოთავსებული და ნახევარ საათში მყარი ჯაჭვური რეაქცია მიიღეს. „იტალიელი ნავიგატორი, რომელიც ახალ მსოფლიოში დაეშვა,“ – შენიშნა ერთ-ერთმა კომენტატორმა ფერმის მისამართით პროექტის კომიტეტში გაგზავნილ მოხსენებაში. სამ წელიწადში ეს ტექნოლოგია გამოიყენეს ატომურ ბომბში, რომელმაც დამანგრეველი ეფექტი გამოიწვია.

იტალიელი მეცნიერი ცნობილია მისი მიღწევებით ექსპერიმენტულ ფიზიკაში. ის გარდაიცვალა ავთვისებიანი სიმსივნით და დატოვა სულ სხვა მსოფლიო, ვიდრე ნახევარი საუკუნით ადრე იყო.

მოამზადა
გურამ ცერცვაძემ.

სპორტი

სასპორტო სკოლის პირველობაზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

23 სექტემბერს ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის ჭიდაობის დარბაზში ჩატარდა სკოლის პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1999-2000-2001 წლებში დაბადებულთა შორის. გამოვლინდნენ ჩემპიონები და პრიზიორები, რომლებიც დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის სიგელებით.

თავიანთ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: 38 კგ – გიორგი თოხაძე; 42 კგ – დათო ჩხაიძე; 46 კგ – საბა მამალაძე; 50 კგ – ნიკა აბულაძე; 54 კგ – ნიკა ირემაძე; 58 კგ - რატი წიკლაური, 63 კგ – ბაქარ წიკლაური; 69 კგ – ჯუმბერ ლომინაძე; 76 კგ – ლუკა ტატურაშვილი, 85 კგ - დათო ურუშაძე; 100 კგ – იური სირაძე.

სკანვორდი





№36-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ეგნატე ნინოშვილი; ქართული ცეკვა – ბალდადური; ტკბილი სასმელი – ლიმონათი; ჰორიზონტი – ერისონი; ქეიფი – ლხინი; საგზაო ნაგებობა – ხიდი; შვედი ჩოგბურთელი – ბორგი; თეატრის ძველი სახელწოდება – სახილველი; სიარული – რონინი; საომარი მათრახი – ჩელტი; ძეხვეული – სოსისი; ძვირფასი ლითონი – ვერცხლი; სამკურნალო სითხე – იოდი; ლოყა – ღაწვი; ქალაქი რაჭაში – ონი; ნორვეგიის დედაქალაქი – ოსლო; რუსი მწერალი – ბუნინი; ახალნათესი ყანა – ჯეჯილი; ხშირი ტყე – ტევრი; ... ბადურაშვილი – ნინი; ერთგვარი კერძი – ოზმი; ნაცვალსახელი – ის; საშენი მასალა – სილა; წერილობითი თხოვნა – ავჯა; ბუნებრივი წყალსაცავი – ტბა; ნატვრის ხის პერსონაჟი – გედია; წვეულება – სადილია; აბსოლუტური მონარქია – აბსოლუტიზმი; პატარა მარხილი – მანჯიკი; გურული სიმღერა - აბადელა; მარსი (ცდომილი) – არია; ჯუჯა მცენარე – ნაგალა.

ნასაკირალის შეტაკება

(გაგრძელება დასაწყისი №35,37)

1905წლის 23 ოქტომბერს ბათუმში შედგა მუშათა ხალხმრავალი მიტინგი, სადაც მიღებული იქნა დადგენილება გურიაში სამხედო წესების მოხსნის შესახებ. სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით თბილისში ნაძალადევში შედგა მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი „.რადგან გურიის მოძრაობა-ნათქვამი იყო მიტინგზე მიღებულ დადგენილებაში – თავისი ხასიათით და მიზნით არაფრით არ განსხვავდება რუსეთის დანარჩენი დემოკრატიის განმანთავისუფლებელი მოძრაობისაგან. სახალხო მიტინგი პროტესტს აცხადებს მთავრობის იმ აგრესიული პოლიტიგისაგან, რასაც ის ხმარობს გურიის წინაამღდეგ.... .თუ ვინიცობა მთავრობა, მაინც გადაწყვეტს გურიის განადგურებას სახალხო მიტინგი აცხადებს,რომ ყველანი დღეს აქ შეკრებილი მიიღებენ ყოველგვარ ზომებს მთავრობის საწინააღდეგოდ,“ (გაზ.„.ცნობის ფურცელი“ 1905 წელი)

1905 წლის ოქტომბრის დამლევს ბაქოს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით რკინიგზის თეატრის შენობაში მოწვეული იქნა მიტინგი გურიის ამბებთან დაკავშირებით. მიტინგს ხელმძღვანელობდა გურიის წარმომადგენელი ხუნდაძე. მიტინგზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: „ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ გურიის დამარცხება რეაქციის ზეიმი იქნება,მისი გამარჯვება კი რუსეთის განმანთავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვება“,....ამიტომ მიტინგი თანაგრძნობას უცხადებს გურიის გლეხობას, სალამს უძღვნის რსდმპ, რომლის ხელმძღვანელობითაც გაჩაღდა რევოლუციური მოძრაობა გურიაში“ (გაზეთი „ბაკუ“ რუსული გამოცემა, 161,1905წ.) მიტინგზე სიტყვით გამოსულმა მუშათა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „სომხეთის მუშათა კლასი მზად არის გურიის გლეხთა დასახმარებლად“

ოზურგეთის მაზრიდან დამსჯელი რაზმის გაყვანა მოითხოვა გარე კახეთის დელეგაციამ, რომელმაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩამოვიდა მეფის ნაცვალთან.

გურიის დასაცავად კვლავ აღიმაღლა ხმა მოწინავე ქართველმა მამულიშვილება

დეპუტაცია მეფისვაცვალ ვორონცოვთან

ექვთიმე თაყაიშვილი თავის მოგონებაში გადმოგვცემს: „მთავრობამ ახლა უფრო გაძლიერებული ჯარით გაგზავნა ალიხანოვი, რომელსაც გრიაზნოვის კარნახით ასეთი ინსტრუქცია მისცეს: სადგურ ნატანებიდან დაწყებული შვიდ ვერსზე ყოველმხრივ ოზურგეთამდის და შემდეგ ოზურგეთის ზემოთაც მთელი სოფლები მოესპოთ, სახლები გადაებუგათ და მცხოვრებნი დაეპატიმრებინათ. ქართველი ინტელიგენტები ხელმეორედ შევიკრიბეთ დავით სარაჯიშვილის ბინაზე.... შეიქმნა ბაასი თუ რა ზომა მიგვეღო, რომ გურია დაღუპვას გადაგვერჩინა. სხვა საშუალება არაფერი იყო, ხელმეორედ უნდა გაგვეგზავნა დეპუტაცია და გვეთხოვა დაბრუნება ალიხანოვის რაზმისა. მიგვიღო ვორონცოვმა თავის კაბინეტში. იგი ყურადღებით უსმენდა ყველას და ბოლოს პასუხად გვითხრა .....მე ახლა ჯარის დაბრუნება უკან აღარ შემიძლია. ეს ყოვლად შეუძლებელია იმ ამბავის შემდეგ რაც გურიაში მოხდა.ამ პასუხის შემდეგ ნებართვის გამოუთხოვნელად მე დავიწყე ლაპარაკი. მინდოდა ასე თუ ისე პასუხი გამეცა მისი გადაწყვეტილების გამო. ჩემს სიტყვაზე ვორონცოვი ცოტა ხნით დაფიქრდა და გამოგვიცხადა. „დავფიქრდები და შემდეგ გაცნობებთ.“ არ გასულა ერთი საათი და გვაცნობეს, რომ ვორონცოვი თანახმაა გურიაში გაგზავნოს დეპუტაცია. ილიას გაუკვირდა და გვითხრა: „ეს დიდი მიღწევაა მე არ მოველოდი ამას“ .... შემდეგ ჩემთან მოვიდა მეფისნაცვლის მდივანი პეტრსონი და მითხრა: „თქვენ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეთ ვორონცოვზე. დიდი ყოყმანის შემდეგ დაგეთანხმათ და მისი მხრით მეორე დეპუტატად თქვენ აგირჩიათ. მოემზადეთ და ორ დღეში გურიაში უნდა წავსულიყავით. მაგრამ მოულოდნელად მოვიდა ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი, ის წარუდგა მაშინვე ვორონცოვს და მოახსენა, რომ ოზურგეთში ყველაფერი მოაგვარა, ხალხი დამშვიდა ,ინციდენტი მოხდა მაზრის უფროსის უტაქტობით. არავითარი დეპუტაცია არ არის საჭიროო“ (ექვთიმე თაყაიშვილი“ რჩეული ნაშრომები, ტომი 1)

ვაჟა-ფშაველა და გურიის აჯანყება

აჯანყებული გურიის დამცველი გახლდათ გულანთებული ვაჟა-ფშაველა.რომელსაც აჯანყებული გურიის დასახმარებლად 200 შეიარაღებული ხევსურის ჩამოყვანა ჰქონდა განზრახული. ამის შესახებ ნინო ნაკაშიძის მოგონებებიდან ვგებულობთ: „ბატონო ვაჟა, –ვუთხარი მე, რომ 1905 წლის ნასაკირალის შეტაკების შემდეგ თქვენ გდომიათ გურიაში დამსჯელი რაზმის წინააღდეგ საბრძოლველად ორასი შეიარაღებული ხევსურის ჩამოყვანა.

– ჰო, და მერე რა – თქვა მან – მე და ჩემმა ღმერთმა ჩამოვიდოდით კიდეც და ვიბრძოლებდით კიდეც, მაშინ ილია ჭავჭავაძეც აპირებდა წამოსვლას იმან შეგვაგულიანა.

– მერე და მართლა,რომ ჩამოსულიყავით,როგორ გაუძლებდით დამსჯელი რაზმის ზარბაზნებს, უთუოდ დაგხოცავდნენ.

– მე და ჩემმა ღმერთმა, სჯობდა იქ მოეკლა ალიხანოვის დამსჯელ რაზმის ზაბაზნებს სამშობლოს დაკარგვისათვის შეიარაღებული მებრძოლი ილია, ვიდრე ის „მოკვდა“ წიწამურში ავაზაკების ტყვიით“(„მგონებები ილია ჭავჭავაძის გარშემო“ ო.ი.მ. ფონდი საქმე 531.გვ.6) როგორც ნინი ნაკაშიძე იგონებს მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვაჟა-ფშაველასთან. 1910 წლიდან ვაჟა -ფშაველა დადიოდა, როგორც „ნაკადულის“ რედაქციაში. ისე მის ოჯახშიც.

გურია აცდა განსაცდელს მეორედ. ამის შესახებ მოგზაური იუწყებოდა და აღწერდა გურიის რეალურ მდგომარეობას: „გურია დღეს აცდა განსაცდელი, მთელი სამხედრო რაზმი, რამდენიმე ჯარისკაცისაგან შემდგარი, ზარბაზნებით, ტყვიის მტყორცნელთა მთელი როტით და ყოველგვარი საომარი წესის იარაღებით შეჭურვილი, რომლის უფროსს ალიხანოვს მინიჭებული ჰქონდა განსაკუთრებული უფლებები, დახვრეტა ჩამოხრჩობამდის, ნაბრძანები ჰქონდა გურიაში ყოველივე მოესპო და გაენადგურებინა, და ,რომელიც უკვე დიდი სისწრაფით მიეშურებოდა დანიშნულების ადგილისაკენ აი, ეს რაზმი, მთავრობისავე ბრძანებით ისევ უკან უნდა დაბრუნდეს რა მოხდა?.... მთავრობამ კარგად იცის რომ გურიაში რევოლუციის ცეცხლი არ ჩამქრალა, ეს ცეცხლი კიდევ უფრო გაძლიერდება ჯარის უკან გამოწვევით და თუ იგი ოფიციალურად აცხადებს, რომ ჯარს უკან ვაბრუნებთ, ვინაიდან გურია უკვე დამშვიდდა ,ეს სიტყვის მასალაა და მეტი არაფერი.ჯარის დაბრუნება გამოიწვია ხალხის აღშფოთებამ.... გურიის განსაცდელმა ფხზე დააყენა მთელი კავკასიის მშრომელი ხალხი.....ყოველ კუთხეში ელვასავით გაისმა ხმა ,რომ გურიას, იმ გურიას, რომელმაც გაბედულად აღმართა, ძმობის თანასწორობის და თავისუფლების დროშა, ამოჯლეტას, მოსპობას და განადგურებას უქადიანო. ამ ამბების გამო ყველა ქალაქებში,დაბა-სოფლებში მიტინგები და კრებები გაიმართა და ყველგან თითქმის ერთნაირ გადაწყვეტილებებს ადგებოდნენ-დაეხმარონ გურიას.... .მთავრობა დარწმუნდა, რომ იგი დაადგა მეტად სახიფათო გზას ,მან დაინახა,რომ გურიაში ჯარების გაგზავნით ფეხზე დააყენა მთელი მშრომელი ხალხი და ეს მის სასარგებლოდ აღარ გათავდებოდა ,ამნაირად, როგორც ხედავთ გურიას დღეს აცდა განსაცდელი,მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ რევოლუციონურ მოძრაობასა და მთავრობას შორის რაიმე მორიგება მომხდარიყოს და ერთის ან მეორეს იარაღი დაეყაროს პირიქით ეს მხოლოდ დროებითი ზავია“ („მოგზაური“ №39,6 ნოემბერი 1905წ.)

მანანა ლომაძე

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი

ხსოვნა

ნატაშა ცანავას ხსოვნას

27 წელი გავიდა ქალბატონი ნატაშას გარდაცვალებიდან, დიდი ტკივილიანი მონატრების და სინანულის წლები. 15 სექტემბერი ქალბატონი ნატაშას დაბადების დღეა, 80 წელი შეესრულდებოდა. ერთხელ კიდევ შევიკრიბეთ მისი მეგობრები და ახლობლები მის საფლავთან, მოვიგონეთ დიდებული ქალბატონი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ემსახურებოდა და ხელმძღვანელობდა სუბტროპიკული კულტურების განვითარების საკითხებს, ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის აგროქიმიის განყოფილებაში - აზოტის ბალანსისა და ტრანსფორმაციის ლაბორატორიას.

ჩვენი ნატაშა მუდამ პირმცინარე, მოსიყვარულე, გულისხმიერი, თავაზიანი, ტაქტიანი. სხვანაირი არც შეიძლებოდა ყოფილიყო მოსკოვში, შესანიშნავ ოჯახში დაბადებული და გაზრდილი, ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული.

ქალბატონი ნატაშა დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის, სუბტროპიკული მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის.

ლამაზად განვლო ცხოვრების გზა ქალბატონმა ნატაშამ, მის მეუღლესთან, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორ, აკადემიკოს ვალერიან ცანავასთან და ორ შესანიშნავ ვაჟიშვილთან ერთად.

მუდამ შეუსვენებლად მიმავალმა, ენერგიულმა ქალბატონმა ერთხელ დაყარა ფარ-ხმალი და დაეცა,როდესაც ტრაგიკულად დაეღუპა უფროსი შვილი, 24 წლის გოგა ცანავა. ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია. წავიდა ჩვენგან კეთილშობილი ადამიანი, ღრმად ერუდირებული მეცნიერი, შესანიშნავი მოქალაქე და მეგობარი, სანიმუშო დედა, მეუღლე, მოსიყვარულე და თბილი ბებია.

თქვენი ნათელი ხსოვნა, ქალბატონო ნატაშა, დიდხანს დარჩება თქვენი მეგობრების და აღზდილების გულში. უფალს შევთხოვთ, რომ ნათელში ამყოფოს თქვენი ღამაზი სული.

ანასეულის ინსტიტუტის კოლექტივი.

ჩემო ხათუ! ჩემო ლამაზო დაიკო!

მიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი.

ჩვენო ძვირფასო, განუკურნებელო ტკივილო, დაგვიტოვე სევდა და მწუხარება. ყველას ენანები – უღრმესად პატიოსანო, მოკრძალებულო, დაუღლელო, სხვისი ყველა სატკივარის და სიხარულის გულთან მიმტანო. როგორ მინდა, სრულყოფილად წარმოვაჩინო შენი სულიერი პორტრეტი, მაგრამ შევძლებ კი?

დაუჯერებელი მამა-შვილობა, საოცარი დედა-შვილობა, განსაკუთრებული დობა, უერთგულესი მეგობრობა, სანათესაო რჩეულობა... ყველაფერი ერთად როგორ შეძელი?! არა, თურმე, შენ ჩვეულებრივი არ იყავი. შენ განგებამ სილამაზის აღქმის უდიდესი უნარით დაგავჯილდოვა. თვითონაც გულის გულიდან ქმნიდი სილამაზეს. ხალხის გულწრფელი ცრემლი და თანაგრძნობა დასტურია შენი პიროვნული თვისებებისა.

ჩემო დაიკო! შენ უშენობის დაღი დაგვასვი. შენ ისეთი ტკივილი ხარ, დროსთან ერთად რომ არ იკურნება.

როგორ მინდოდა, გაცემული სითბოსა და სიყვარულის საზღაური სიტყვის მაგიური ძალით გამომეხატა; როგორ მინდოდა, სათქმელი თბილი სიტყვების ქურქში გამეხვია... ესეც ვერ შევძელი, მაპატიე... უშენოდ არსებობა გვაპატიე.

ხათუ! შენ იყავი სანთელი, რომელიც თითოეულ ჩვენგანზე განუწვეტლივ ლოცვაში ჩაიწვი და ჩაიღვენთე. შენ ამქვეყნიური ყველა გამოცდა ჩააბარე.

ყველა ჩვენგანის მონატრებამ, სიყვარულმა და შენთვის დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში.

შენი **მაიკო**.

სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლა და მეცნიერებისა და განათლების პროფკავშირის ოზურგეთის განყოფილება იუწყებიან ამავე სკოლის პედაგოგის **ნანა მეძვაბიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გმადლობთ, მამაო!

ადამიანი სიკეთეს უნდა თესავდეს. სწორედ ასეთი სიკეთის მთესველი გახლავთ სოფელ ბოხვაურის წმ. სოფიას სახელობის ტაძრის მოძღვარი მამა ბასილი, რომელიც ილია (ლერი) გირკელიძეს რამდენიმე თვეა, სამედიცინო მედიკამენტებთან ერთად, (რომელსაც ილია ყოველდღიურად საჭიროებს) დიდ სითბოსა და სიყვარულს ჩუქნის. ამიტომაც მთელი ოჯახი მადლიერია მამა ბასილისა და მისი მრევლის.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

დიმა გირკელიძე

ქალაქ ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრს — სურათების გალერეას მერაბ ბერძენიშვილის სახელი მიენიჭა

შესაძლოა, ბატონი მერაბის ერთ-ერთმა შედევრმა მალე ოზურგეთში იმზეჭაბუკოს

ქალაქ ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი — სურათების გალერეა ამერიდან გამოჩენილი, მსოფლიო მნიშვნელობის მოქანდაკის, ბატონ მერაბ ბერძენიშვილის სახელობისაა. გალერეას, რომელიც დღეს ქალაქის ერთგვარ სავიზიტო ბარათს წარმოადგენს, პროფესიული მოღვაწე და გულშემატკივარი არასოდეს აკლდა, მაგრამ გასული კვირის ხუთშაბათს აქ შეკრებილმა საზოგადოებამ რაოდენობრივადაც და ინტელექტუალობითაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ცენტრისათვის თანამედროვე ყველაზე დიდი გურულის სახელის მინიჭება ყველამ მოვლენად შეაფასა. მოკლედ, 24 სექტემბერს ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში ბერძენიშვილისეულმა მაღალმა და ჭეშმარიტმა ხელოვნებამ თავისი უკვდავება იზეიმა.

მიუხედავად დიდი სურვილისა, შეუძლოდ მყოფმა ბატონმა მერაბმა ამ დღეს ოზურგეთში ჩამოსვლა ვერ შეძლო. ხელოვანის წერილი კი დამსწრე საზოგადოებას მისმა მეგობარმა, აკადემიკოსმა თამაზ შილაკაძემ გააცნო:

„... მადლობა გურიის გუბერნატორსა და ქ. ოზურგეთის მერს ჩემი ხელოვნების ასე შეფასებისათვის, ჩემი დაფასებისათვის — ოზურგეთის სამხატვრო გალერეისთვის ჩემი სახელის მინიჭებისათვის, მადლობა გალერეის თავკაცს, კარგ მხატვარს ავთანდილ თავართქილაძეს, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ოზურგეთის გალერეის წარმატებულ ფუნქციონირებაში. ყოველთვის მიგულეთ თქვენთან“... — წერს გურულებს გურული ხელოვანი.

ავთანდილ თავართქილაძე, ქალაქ ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრს — სურათების გალერეის დირექტორი: „ბედნიერებაა, რომ გვყავს ასეთი დიდი გურული, ძლიერი, არაჩვეულებრივი ხელოვანი, რომელიც გადაიკარგა ხელოვნების უკიდეგანო სივრცეში ისე, რომ არასოდეს დაიკარგება. ყველაზე დიდი ბედნიერებაა, ბატონი მერაბის მიერ ჩვენი გალერეისთვის ბრინჯაოში ამეტყველებული რუსთაველის ქანდაკების გადმოცემა. და თქვენ წარმოიდგინეთ, როგორი ბედნიერება იქნება თუ ბატონი მერაბის „მზეჭაბუკ“ დაიდგმება ჩვენს ქალაქში. გალერეისთვის ამ დიდი მხატვრის სახელის მინიჭება კი, მოვლენასთან ერთად, თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაა მომავალ საქმიანობაში. სწორედ ასეთი ადამიანებია მომავალი თაობის გზამკვლევი. თქვენ იცით, რომ, სამხატვრო გეალერეის გარდა, ოზურგეთში მოქმედებს სამხატვრო სკოლა. ისეთი თაობა მოდის, შემიძლია გითხრათ, რომ აქედან 15-20 წელიწადში 3-4 ძალიან დიდი ხელოვანი გვეყოლება. ასე რომ, ოზურგეთი, რა თქმა უნდა, არის ფოლკლორის ქალაქი, მაგრამ არის და იქნება სახვითი ხელოვნების ქალაქიც“.

ირაკლი ჟორდანია, აკადემიკოსი: „... ჯერ კიდევ რუსთაველის ძეგლი რომ აღიმართა დედაქალაქში, მთელმა ქვეყანამ აღიარა მაშინ ბატონი მერაბის მაღალი ხელოვნება, რომელიც მას შემდეგ, საბედნიეროდ, მდიდრდება ახალ-ახალი შედევრებით. წარმოიდგინეთ, მისი ქანდაკებები, რომ არ ამშვენებდეს საქართველოს, რამხელა სიცარიელე იქნებოდა მთელ ქვეყანაში...“

დემურ მიქაძე, გენერალ-მაიორი: „ ...მადლობელი ვარ უფლისა, რომ მერაბ ბერძენიშვილი მარგუნა მეგობრად. ვამყობ იმით, რომ ვმონაწილეობდი მისი ძეგლების დადგმაში. ერთად გადაგვილახია ამ პროცესის დროს წარმოშობილი წინააღმდეგობები. სამწუხაროდ, ამ ბუმბერაზ ხელოვანს არაერთხელ ატკინეს გული თავიანი შედევრების აფეთქებებითა თუ გაუთავებელი გადაადგილებებით. მე მგონი, დადგა დრო, ყველამ ხმა ამოიღოს „დავით აღმაშენებლის“ დედაქალაქის გულში გადატანაზე, სადაც ის ადრე იმყოფებოდა...“

ჯემალ ჭკუასელი, ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი, ქ. ოზურგეთის საპატიო მოქალაქე: „მერაბი მსოფლიო დონის მოქანდაკეა, განუმეორებელი. ერთმა ამერიკელმა ქალმა სადოქტორო დისერტაციაც კი დაიცვა თემაზე: „მერაბ ბერძენიშვილი და სივრცე“.

გია სალუქვაძე, გურიის გუბერნატორი: გალერეისთვის მერაბ ბერძენიშვილის სახელის მინიჭება საპატიო და საპასუსისმგებლოა. თუ სამოლოოდ „მზეჭაბუკის“ გურიაში გადმოტანა გადაწყდა, დღეიდანვე შევუდგებით სამზადისს, ადგილსაც შესაფერისს შევარჩევთ და მალე დავდგამთ კიდეც. მერაბ ბერძენიშვილისთანა ადამიანი რომ არ გყავდეს, უნდა გამოიგონო, კი არ უნდა ებრძოლო, ხელისგულზე უნდა ატარო. ჩვენ კარგად გვახსოვს ბატონი მერაბის მიერ შექმნილი მემორიალისადმი წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი ვანდალური ფაქტი ქუთაისში, რასაც, სამწუხაროდ, ორი ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა“.

ბეგლარ სიორიძე, ქ. ოზურგეთის მერი: მინდა გამოვთქვა გულისტკივილი, რომ ბატონი მერაბი დღეს ვერ ესწრება ჩვენს ღონისძიებას. ვესაუბრე, თუ ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს, ძალიან მინდა ამ დროს ვიყო ოზურგეთშიო. როგორც ჩანს. ვერ შეძლო. მახსოვს, როცა შარშან საპატიო ოზურგეთელი გახდა, სიამაყით აივსო, საპატიო თბილისელობაზე არანაკლებია საპატიო ოზურგეთელებაო, — თქვა. ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში გვესტუმრება ეს მართლაც ყველაზე საამაყო საპატიო ოზურგეთელი კაცი“.

ვახტანგ მამეშვილი, მხატვარი, ოზურგეთის სამხატვრო სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი: „ბატონ მერაბს ადამიანის შეცნობის საოცარი უნარი აქვს. ერთხელ, ეს იყო სამხატვო აკადემიაში მოღვაწეობისას, ერთ-ერთ შეხვედრაზე დამაკვირდა და მითხრა, შენ გურული ჩანხარო. მისი შემოქმედება ხომ სწორედ გურული ენერგიითა და გურული ხასიათებითაა სავსე. სიშმაგით შემყრობილია მისი ყველა ნამუშევარი. თუ ის ძეგლი, ოზურგეთში დაიდგმება, ეს იქნება ყველაზე დიდი საქმე“.

ღონისძიების მონაწილეთათვის ყველაზე დიდი საჩუქარი აღმოჩნდა კომპოზიციურად და პოლიგრაფიულად უმაღლეს დონეზე მომზადებული ბუკლეტი „მერაბ ბერძენიშვილი“, რომლის ექსპოზიციაშივე ყურადღებას იქცევს მთავრული შრიფტით აწყობილი მისი რეგალიები:

— საქართველოს სახალხო მხატვარი,

— საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი,

— შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი,

— საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,

— თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი,

— საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,

— საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი,

— თბილისის საპატიო მოქალაქე,

— ოზურგეთის საპატიო მოქალაქე...

ჩვენი შეხედულებით, ერთსაც დავამატებდით: მსოფლიოს საპატიო მოქალაქე.

აი, ვის სახელს ატარებს 2015 წლის 24 სექტემბრიდან ქალაქ ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი — სურათების გალერეა!!!

თემურ მარშანიშვილი

„მერცხალმა“ განახლებულ სტადიონზე პირველი მატჩი მოიგო

მეორე ტურში, საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში პირველი ლიგის გუნდებს შორის , ხონში მარცხის შემდეგ (0:2) „მერცხალმა“ ხობის „კოლხეთს“ უმასპინძლა. „მერცხალმა“ კარგად ჩაატარა ეს შეხვედრა და მოიგო 2:1. ოზურგეთელთაგან გოლი ნიკოლოზ ხინთიბიძემ და ნიკა ჭკუასელმა გაიტანეს.

მეოთხე ტურში კი „მერცხალმა“ ტყიბულის „მეშახტე“ მიიღო.

ოზურგეთელებმა პირველი გოლი მე-7 წუთზე გაიტანეს, (ზვიად ციკოლია), რომელიც 34-ე წუთზე „მეშახტის“ საუკეთესო ფეხბურთელმა გიგა კვერენჩხელიძემ გათანაბრა.

მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრები დაწინაურდნენ (ნვანკვო, 53 წთ.)

„მერცხალმა“ მატჩის დასასრულს შეძლო ქულის გადარჩენა. ტყიბულელებმა თამაშის წესი დარღვიეს და ნიკოლოზ ხინთიბიძემ ზუსტად დაარტყა პენალტი- 2:2.

მე-5 ტურში „მერცხალი“ „გაგრას“ შეხვდა. პირველი გოლი მე-12 წუთზე ოზურგეთელმა ნიკოლოზ ხინთიბიძემ გაიტანა, მაგრამ შემდეგ „მერცხალმა“ 4 გოლი გაუშვა და 1:4 დამარცხდა

„მერცხალს“ ხუთი შეხვედრის შემდეგ (ერთი მოგება, ორი ფრე, ორი წაგება) 4 ქულა აქვს და იგი გათამაშების ცხრილში მე-12 ადგილზე იმყოფება.

ავტომობილები განვადებით

ავტომობილების განვადება 6-დან 36 თვემდე 2%-ში. დაზღვევით ნებისმიერი ავტომობილი ამერიკის და იაპონიის აუქციონებიდან, წელი შეზღუდული არ არის, მოქმედებს შიდა უპროცენტო განვადება 3 თვით + გაცვლა. გარანტიით.

ტელ. 595 11 10 30; 598 47 47 03 დათო.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. №11, მე-2 საჯარო სკოლის გვერდით.

რ

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე +16+27	მზე, ღრუბელი +17+26	მზე, ღრუბელი +16+24	წვიმა +16+22	წვიმა +12+18	წვიმა +16+22	წვიმა +12+18
28 სექტემბერი ორშაბათი	29 სექტემბერი სამშაბათი	30 სექტემბერი ოთხშაბათი	1 ოქტომბერი ხუთშაბათი	2 ოქტომბერი პარასკევი	3 ოქტომბერი შაბათი	4 ოქტომბერი კვირა